




## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №191

2013 წლის 27 დეკემბერი  
ქალაქი ხაშური

ავტომანქანის (Mitsubishi Pajero IO) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 13 დეკემბერს (სატენდერო განცხადება SPA130027655) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის (Mitsubishi Pajero IO) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების შესყიდვაზე, რომელსაც 2013 წლის 19 დეკემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის კუთვნილი ავტომანქანისათვის (Mitsubishi Pajero IO) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის 2013 წლის 24 დეკემბრის №543 წერილის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის კუთვნილი ავტომანქანისათვის (Mitsubishi Pajero IO) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების გამარტივებული შესყიდვა;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად;
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

